ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 27-45-25) 21 ნოემბერი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №371

ირინე საჯაიას, ლელა ნაცვალაძის და ირმა რობაქიძის მივლინების შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 აპრილის „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ №231 ბრძანებულების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირინე საჯაია და საკრებულოს წევრები ლელა ნაცვალაძე და ირმა რობაქიძე მივლინებულ იქნენ ქალაქ ზუგდიდში დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართულ ტრენინგზე მონაწილეობის მისაღებად, მიმდინარე წლის 21 ნოემბრიდან 22 ნოემბრის ჩათვლით.

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამოუყოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ირინე საჯაიას და საკრებულოს წევრებს ლელა ნაცვალაძეს და ირმა რობაქიძეს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ავთანდილ სურგულაძე**

Created by free version of DocuFreezer